

საგზაო

საერთოუნივერსიტეტი

სამშაბათი 4 მარტი 2003 №36 (1807)

ფასი 50 თეთრი

შეკრებაა თუ პურმარდი?

ქართველები მაშინ იწყებენ, როცა შეიხრიბებიან



გადრი კამერაზე ფოტო

საქართველოს ნაკრებმა ირლანდია-სა და შვეიცარიის ეროვნულ გუნდებთან საჯარო პირველი ბრძოლა უკვე წააგო და მერე რა იქნება, ვნახოთ.

იმას მოგახსენებთ, რომ კარგად დაწყება საქმის ნახევარი თუ არა, ბევრად ნაკლებიც არ არის. ახლა კი ერთი კონკრეტული ამბავი ვთქვათ. 1 აპრილს შვეიცარიის ნაკრები 17.30 საათზე „შევარდენის“ სტადიონზე ვარჯიშს დაიწყებს, საათნახევრის მერე კი ავტობუსი სასტუმრო „მარიოტში“ დააბრუნებს.

1 აპრილამდე გვარნიან დროა და საიდან ვიცით შვეიცარიელთა (ირლანდიელთაც) წუთებში გათვლილი გრაფიკი? საქმე არც გულთმისნობაშია, არც შვეიცარიულ საათებში და არც შტირლიცობაში. უბრალოდ, შვეიცარიისა და ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციებმა წინასწარვე დაიჭირეს თადარივი საქართველოს ნაკრებთან მატჩებისთვის, თან მხოლოდ ყასიდად კი არ თქვეს, ამა და ამ დღეს შევიკრიბოთ, წავიდეთ, ვითამაშოთ და დავბრუნდეთ, ყველაფერი მისხალ-მისხალ ვათვალეს.

ახლა, რა ხდება ჩვენთან. პირველი მეტოქე ირლანდიაა და მას 29

მარტს ვხვდებით. ფედერაციაში ითქვა, ნაკრები 24-ში დაიწყებს შეკრებას. დაწყებით კი დაიწყებს, მაგრამ როდის ჩამოვა ყველა გამოძახებული ფეხბურთელი? დიდი შანსია, რომ 24-ში არა. ეგებ ზოგიერთი მატჩის წინა თუ არა, წინის წინა დღესაც ჩამოვიდეს და მგზავრობით დაღლილმა ერთი-ორჯერ ხეირიანად გავარჯიშებაც ვერ მოასწროს. არა, არაფერს ვამტკიცებთ, უბრალოდ მოლდოვასთან ამასწინდელი მატჩი გვახსენდება და მაშინ ნაკრები სწორედ ეგრე შეიკრიბა.

ისე, წასვლა-წამოსვლისა და ვარჯიშის გრაფიკი რა მოსატანია, როცა საქართველოს ნაკრები ირლანდია-შვეიცარიას და მერე რუსეთს სად და როგორ დაუხვდება, გარკვეული ჯერაც არ არის.

ჰოდა, დადგენ ახლა ირლანდიელები და შვეიცარიელები და იმტერიონ თავი საქართველოს ნაკრების ვარჯიშების გრაფიკის, ტაქტიკის, შემადგენლობის და მისთანების გამოცნობაზე. ჩვენ რა გვენაღვლება, არხეინად ვართ — იმათი ყველაფერი ვიცით, ჩვენსას კი, სახელით რომ ეძებონ, ვერ იპოვიან.

რუს ქალებს ქართველი კაცები არუქანს

სამართვლო და რუსეთი: ორი ბანაკი კავკასიის ამერ-იმიერ

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას მერე, რაც ფრაუ კლარა ცეტკინმა რუსი თანამეცხედრე სახლიდან გააგდო, ქალთა საერთაშორისო დღის დამკვიდრება ჩაიდო გულში და ალასრულა კიდევ.

ბევრად ნაკლები დრო, ორი წელი გავიდა მას მერე, რაც ქართველმა მორაგებებმა რუსები მათსავე სახლში, კრასნოდარში დაამარცხეს.

მომავალ შაბათს კი, 8 მარტს, რუსები და ქართველები, კლარა ცეტკინის ამბავში, უფასოდ აყურებიან კრასნოდარელ ქალებს კუნთმაგარ და ფეხმარდ ჯეელთა მორიგ ჯახს.

შაბათის რაგბი მსგავსიც იქნება და განსხვავებულიც ამათი წინა ბრძოლებისგან. მსგავსი, რაკილა ამათი ერთმანეთთან ყოველი შეხლა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ესპანეთთან და პორტუგალიასთან. განსხვავებული კი იმით, რუსებს ბოლმა ახრჩობთ, ხოლო ქართველებს თავი მსოფლიოს თასზე დაუფულებიათ და ფიქრით ვინდლო უკვე იქ არიან.

მაგრამ ისიცაა, რომ ბორჯღალოსნებს არ სჩვევიათ უჯიგროდ თამაში, მით უფრო, რუსეთთან.

მეტი რა — ისევ ეს რუსეთი...



გადრი კამერაზე ფოტო

ინგლისის ლიგის თასის ფინალი

ლივერპული 2:0 მანჩესტერი

1:0 ჯერარდი (39), 2:0 ოუენი (86)

დუდეკი, კარაგერი, ანსო, ჰიიპია, რიისე, ჰამანი, ჯერარდი, დენი მერფი, დიუფი (ბისკანი 90), ოუენი, ჰესკი (ბაროში 61; შმიცერი 89) მწვრთნელი: ჯერარ ულიე



ბარტეზი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, სილვესტრი, უესლი ბრაუნი (სოლსკიერი 74), ბექემი, როი კინი, ვერონი, სქოულზი, ვან ნისტელროი, გიგზი მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: ანსო



სტივენ ჯერარდის ამ შორეულ საგოლე დარტემს...

ეს შენი თამაშია მანჩესტერმა ლუდვანის დახრულზე იცაქვა



...მაიკლ ოუენმა მეორეც მაიკოლა და ფაბიენ ბარტეზმა სირცხვილისგან სახე დაშალა

პარბა ხანია, ინგლისის ლიგის თასის ფინალს არ ჰყოლია ამგვარი წყვილი: „მანჩესტერი“ და „ლივერპული“ გავიდნენ თასისთვის საბრძოლველად კარდიფის „მიდლენუისის“ მინდორზე და „ლივერპულმა“ მეექვსე თასი მოიპოვა ჯერარ ულიეს ხელში.

„ლივერპულმა“ თითო ტაიმის ბოლოს თითო გოლი გაიტანა: 39-ე წუთზე სტივენ ჯერარდის 30 მეტრიდან დარტემულმა ოდნავ შეიცვალა მიმართულება, რახან დევიდ ბექემს მოხვდა, მაიკლ ოუენმა კი (86-ე წუთი) ჩვეული გაქცევით იმარჯვა. ამ მოგებად ბილო მოუღო ლაპარაკებს, რომ ულიეს დათხოვენ, რახან „ლივერპულმა“ ბოლო 16 თამაშიდან პრემიერლიგაში მხოლოდ ორი მოიგო.


ლივერპულელთაგან საუკეთესონი იყვნენ სწორედ ჯერარდი და დენი მერფი, რომელთაც შუა მოედანი აართვეს ჯერაც ფორმაში ვერმყოფ, წინა კვირაში წასვლას ალაპარაკებულ როი კინს, ბექემსა და ხუან ვერონს. საუკეთესოთა შორის საუკეთესო კი იყო გამარჯვებულთა მეკარე ირვი დუდეკი, რომელიც ოფიციალურადაც მატჩის საუკეთესო მითამაშედ დაასახელეს.

ჯერარდის გილის შემდეგ „მანჩესტერს“ გათანაბრება შეეძლო, მაგრამ სწორედ დუდეკმა წაართვა ამის საშუალება ჯერ კერონს, ხოლო შემდეგ კი ორჯერ რუელ ვან ნისტელროის, რომლის დარტემულბიტც ბრწყინვალედ შეაჩერა, პოლ სქოულზის დარტემული კი სტივენს ანსომ გამოადრო კარის ხაზიდან. თამაშის მიწურულს დიტმარ ჰამანი პასი ჩაუჭრა როი ფერდინანდს,

ოუენი მეკარესთან დატოვა და წერტილიც დაისვა. აღტაცებულმა ჯერარ ულიემ თქვა: „დღეს კარგი გუნდი დავამარცხეთ. სწორად გამიგეთ, ეს იყო კარგი „მანჩესტერი“. ირვი თამაშის გმირი იყო. ვუთხარი კიდეც, სანამ მოედანზე გავიდოდა, ეს შენი თამაში იქ-

ნება-მეთქი. ახლა პრემიერლიგაშიც უფრო ლაღად ვითამაშებთ, რადგან ევროპის საგზური ხელში გვიჭირავს!“ დამარცხებულმა სერ ალექს ფერგიუსონმა კი ცივად მოჭრა: „მეკარე ფანტასტიკური იყო“.

ირაკლი გამყრელიძე



რაც „ლივერპულს“ მწვრთნელია, ჯერარ ულიემ მეექვსე თასი მოიგო

ჰოლანდია

Table with 5 columns: Country, Goals, Assists, etc. for various national teams.

გელზია

Table with 5 columns: Country, Goals, Assists, etc. for various national teams.

პორტუგალია

Table with 5 columns: Country, Goals, Assists, etc. for various national teams.

II ლიგის

Table with 5 columns: Country, Goals, Assists, etc. for various national teams.

კალად შეკვეთილი მიმოსილვა



იუვენტუსი — ინტერა. ივან კორაძის და მილანელ სტუმრებს ერთი გოლი მაშინვე გამოარჩევინა (მარცხნივ) მიაჩნდა

იტალია
სერია A XXIII ტური
მილანი 3:3 ატალანტა
0:1 მილანი (ს.კ.), 0:2, 0:3 როსინი (29, 30), 1:3 ინმაგი (33), 2:3 ტომასონი (69), 3:3 ინმაგი (78)

იუვენტუსი 3:0 ინტერი
1:0 გულიელმინიეტრო (4ს.კ.), 2:0 ნედევი (33), 3:0 კამორანეზი (83)

პარმა 2:2 ლაციო
1:0 ზე მარია (12), 1:1 კორადი (15), 2:1 გროსო (42), 2:2 ნეგრო (84)

კიევი 3:2 ტორინო
0:1 სომეხე (16), 1:1 პელისიერი (29), 1:2 დონატი (36), 2:2 კოსატო (59), 3:2 დანა (62)

პარმა 1:1 მოდენა
1:0 ადრიანო (26), 1:1 სკოპონი (28)

ბრეშა 0:0 ბოლონი
0:1 სომეხე (16), 1:1 პელისიერი (29), 1:2 დონატი (36), 2:2 კოსატო (59), 3:2 დანა (62)

ბოლონი 2:0 კალცია
0:1 დი ნატალე (11), 1:1 ტოტი (30), 2:1, 3:1 მონტელა (49, 68)

რომა 3:1 ემპოლი
0:1 დი ნატალე (11), 1:1 ტოტი (30), 2:1, 3:1 მონტელა (49, 68)

ბრეშა 3:2 უდინეზა
1:0 ბრანცოლი (2), 1:1 პიზარი (10), 2:1 დი მარკო (12), 2:2 იაკინტა (45), 3:2 კოცა (65)


პიჩენცა 0:1 კოვო
0:1 აპოლონი (6)

„ლეუ ალპინე“ იტალიის ჩემპიონის ვინაობა არ გარკვეულა, მაგრამ მალევე საინტერესო კითხვებს კი გაეცა პასუხი. კერძოდ, დავრწმუნდით, რომ გასულ კვირაში „იუვენტუსის“ მარცხი „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ისეთი თვალსაჩინო ანგარიშით, როგორცაა 0:3, მინცდამინც რაიმე სერიოზულის მოქმედი არ მიძინებელი არ იყო. ეს განსაზღვრავს გუნდის ერთი უიღბლო შეხვედრა და მეტი არაფერი. რაც იყო, იყო, გამარჯვებულზე ალალი იყოს და ოთხ დღეში, იტალიურ დერბად წოდებულ შეხვედრაში, „ინტერის“ წინააღმდეგ, „ბებერი ქალბატონი“ ისე გამოვიდა, ძალიან დიდ გუნდს რომ შეეფერის. აქ აღარ დავიწყებთ იმის გარჩევას, „იუვენტუსი“ მართლა 0:3-ების წამებები გუნდი რომ იყოს, რამდენიმე დღეში ასეთი ფეხბურთის თამაშს ვერ მოახერხებდა და სხვა კიდევ გამო-

ჩნდა ის, რომ „იუვე“ თუნდაც იმავე „ინტერისგან“ განსხვავებით, პრინციპულ თამაშებს პრინციპულად ატარებს. დაინახეთ აგრეთვე, რომ „ბებერი ქალბატონი“ არ შეიძლება ითქვას, ამა თუ იმ ვარსკვლავის, თუნდაც თვით ალესანდრო დელ პიეროს გუნდით. თვალსაჩინოდ გამოჩნდა, რომ ტურინელთა სათამაშო არსენალი დიდია — მაშინაც კი, როდესაც თავდამხმელები (კერძოდ დავიდ ტრეზეგე) ფორმაში არ არიან, ისინი შეტყევის ალტერნატიულად აწყობას ახერხებენ და სხვა.

ერთი სიტყვით, „ლეუ ალპინე“ „იუვენტუსსა“ და „ინტერს“ შორის ისეთი მატჩი გაიმართა, რომელსაც თავისუფლად შეუძლია „სარბიელში“ იტალიის ტურის მიმოხილვისთვის გამოყოფილი ფართობი შეავსოს და გადაავსოს, მაგრამ მართლა ასე რომ არ მოხდეს, კალამს ცოტათი კბილი... უფრო სწორედ თითები დავაჭიროთ, თუძე... აუცილებელია პაკელ ნედვედის საგანგებოდ ხსენება. ეს ჩეხი ნახევარმცველი 30 წლისა განუმეორებელ მოთამაშედ ჩამოყალიბდა. „ინტერის“ კარში გატანილი სამივე გოლი ნედვედის შემოქმედების ნაყოფი გახლდათ. პირველად მან ჯანლუკა ძამბროტას წაქცევისთვის მარცხენა ფრთაზე დანიშნული საჯარიმო ჩააწოდა. აქ მას დიდად შეუწყო ხელი „ინტერის“ მეკარემ, ფრანჩესკო ტოლომომ, რომელმაც ბურთი ვერ შეიმგრა, იგი მასპინძელი ფორვარდების, ტრეზეგესა და მარკო დი ვაიოს შევიწროვებულ საკუთარ მცველს, ანდრეს გულიელმინ-პიეტროს გაარტყა და საკუთარ კარში შეგარდინილი იხილა. მეორე გოლი ნედვედმა თავად გაიტანა ოსტატური, შორეული დარტყმით, შესაძლო კი ისევ მარცხნიდან გარდევის შემდეგ გაიტანა. მორანეზის შეაგდებინა ყველაფერთან ერთად აღსანიშნავია, რომ ჩეხი ჯერ კიდევ 1:0-ის დროს ითხოვდა შეცვლას, რადგან მანამდე ორთაბრძოლაში მოხვდა და დაშავდა.

მაგრამ, მაინც სჯობს ამ შეხვედრაზე საუბარი აქ შევწყვიტოთ და ორი-ოთხ სიტყვით ტურის სხვა ამბებსაც გავხსენოთ. მაგალითად, „რომაში“ „იუ-



ტურინელთაგან საუკეთესო პაკელ ნედვედი იყო

„ლეუ ალპინე“ იტალიის ჩემპიონის ვინაობა არ გარკვეულა, მაგრამ მალევე საინტერესო კითხვებს კი გაეცა პასუხი. კერძოდ, დავრწმუნდით, რომ გასულ კვირაში „იუვენტუსის“ მარცხი „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ისეთი თვალსაჩინო ანგარიშით, როგორცაა 0:3, მინცდამინც რაიმე სერიოზულის მოქმედი არ მიძინებელი არ იყო. ეს განსაზღვრავს გუნდის ერთი უიღბლო შეხვედრა და მეტი არაფერი. რაც იყო, იყო, გამარჯვებულზე ალალი იყოს და ოთხ დღეში, იტალიურ დერბად წოდებულ შეხვედრაში, „ინტერის“ წინააღმდეგ, „ბებერი ქალბატონი“ ისე გამოვიდა, ძალიან დიდ გუნდს რომ შეეფერის. აქ აღარ დავიწყებთ იმის გარჩევას, „იუვენტუსი“ მართლა 0:3-ების წამებები გუნდი რომ იყოს, რამდენიმე დღეში ასეთი ფეხბურთის თამაშს ვერ მოახერხებდა და სხვა კიდევ გამო-

ჩნდა ის, რომ „იუვე“ თუნდაც იმავე „ინტერისგან“ განსხვავებით, პრინციპულ თამაშებს პრინციპულად ატარებს. დაინახეთ აგრეთვე, რომ „ბებერი ქალბატონი“ არ შეიძლება ითქვას, ამა თუ იმ ვარსკვლავის, თუნდაც თვით ალესანდრო დელ პიეროს გუნდით. თვალსაჩინოდ გამოჩნდა, რომ ტურინელთა სათამაშო არსენალი დიდია — მაშინაც კი, როდესაც თავდამხმელები (კერძოდ დავიდ ტრეზეგე) ფორმაში არ არიან, ისინი შეტყევის ალტერნატიულად აწყობას ახერხებენ და სხვა.

ერთი სიტყვით, „ლეუ ალპინე“ „იუვენტუსსა“ და „ინტერს“ შორის ისეთი მატჩი გაიმართა, რომელსაც თავისუფლად შეუძლია „სარბიელში“ იტალიის ტურის მიმოხილვისთვის გამოყოფილი ფართობი შეავსოს და გადაავსოს, მაგრამ მართლა ასე რომ არ მოხდეს, კალამს ცოტათი კბილი... უფრო სწორედ თითები დავაჭიროთ, თუძე... აუცილებელია პაკელ ნედვედის საგანგებოდ ხსენება. ეს ჩეხი ნახევარმცველი 30 წლისა განუმეორებელ მოთამაშედ ჩამოყალიბდა. „ინტერის“ კარში გატანილი სამივე გოლი ნედვედის შემოქმედების ნაყოფი გახლდათ. პირველად მან ჯანლუკა ძამბროტას წაქცევისთვის მარცხენა ფრთაზე დანიშნული საჯარიმო ჩააწოდა. აქ მას დიდად შეუწყო ხელი „ინტერის“ მეკარემ, ფრანჩესკო ტოლომომ, რომელმაც ბურთი ვერ შეიმგრა, იგი მასპინძელი ფორვარდების, ტრეზეგესა და მარკო დი ვაიოს შევიწროვებულ საკუთარ მცველს, ანდრეს გულიელმინ-პიეტროს გაარტყა და საკუთარ კარში შეგარდინილი იხილა. მეორე გოლი ნედვედმა თავად გაიტანა ოსტატური, შორეული დარტყმით, შესაძლო კი ისევ მარცხნიდან გარდევის შემდეგ გაიტანა. მორანეზის შეაგდებინა ყველაფერთან ერთად აღსანიშნავია, რომ ჩეხი ჯერ კიდევ 1:0-ის დროს ითხოვდა შეცვლას, რადგან მანამდე ორთაბრძოლაში მოხვდა და დაშავდა.

მაგრამ, მაინც სჯობს ამ შეხვედრაზე საუბარი აქ შევწყვიტოთ და ორი-ოთხ სიტყვით ტურის სხვა ამბებსაც გავხსენოთ. მაგალითად, „რომაში“ „იუ-

Table with 3 columns: Team, Goals, Assists. Rows include teams like Roma, Lazio, Fiorentina, etc.

პოლის“ 3:1 მოუყო და ამას რეაქციად, მწვრთნელმა, ფაბიო კაპელომ, ასეთი შეფასება მისცა: „ძალიან კარგად ვითამაშეთ და გოლებიც კარგად გამოაჩინებელი კომბინაციებით გაეიტანეთ. გასულ კვირას, ჩემპიონთა ლიგაში, „ვალენსიასთან“ გამარჯვება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გაზღდათ ძალიან მნიშვნელოვანი. დღეს ვინჩენცო მონტელაყ ძველებურად თამაშობდა, კვლავ ფორმაშია ემერსონი, ხოლო ფრანჩესკო ტოტი შეუდარებელია, როგორც ბომბარდირი და, როგორც „ასისტენტი“.

„პერუჯას“ და „ლაციოს“ შეხვედრა პერუჯაში ფრედ, 2:2 დასრულდა. „პერუჯას“ თავკაცი სერსე კოზმი: „ჩვენ ჩვეულებრივ დასაშვებზე მეტი შეცდომა დავუშვით და „ლაციოს“ ბოლოში სწორედ ამან გამოაყვალა. ვემშობ, ქულათა დაგროვების ამდენი მანის ხელიდან გაშვებამ ჩემს ფეხბურთელებზე ფსიქოლოგიურად არ იმოქმედოს“.

„ლაციოს“ მწვრთნელი რობერტო მანინი: „მეტისმეტად უცნაური თამაში გამოვიდა. პირველ ტიამში დიდებულად ვითამაშეთ, მაგრამ საეჭვო პენალტის გამო ჩამოვრჩით. სამაგიეროდ, მეორე ტიამში გამოვაკვინეთ უტენი ხასიათი და სკუდეტოსთვის ბრძოლის შანსი შევინარჩუნეთ“.

„იუვენტუსი“ „ტორინოს“ 3:2 აჯობა. ლუიჯი დელ ნერი, „იუვენტუსის“ თავკაცი: „ინიდან ჩვენ ბევრი საგოლე მომენტი შეექმნით, შედეგი სამართლიანია. „ტორინო“ კი, წაგების მიუხედავად, კარგი გუნდია და ძლიერად იბრძვის. ჩვენი ამოცანა, მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად სხვა გუნდების გაწვევა-გამოწვევა“.

„იუვენტუსი“ „ტორინოს“ 3:2 აჯობა. ლუიჯი დელ ნერი, „იუვენტუსის“ თავკაცი: „ინიდან ჩვენ ბევრი საგოლე მომენტი შეექმნით, შედეგი სამართლიანია. „ტორინო“ კი, წაგების მიუხედავად, კარგი გუნდია და ძლიერად იბრძვის. ჩვენი ამოცანა, მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად სხვა გუნდების გაწვევა-გამოწვევა“.

„იუვენტუსი“ „ტორინოს“ 3:2 აჯობა. ლუიჯი დელ ნერი, „იუვენტუსის“ თავკაცი: „ინიდან ჩვენ ბევრი საგოლე მომენტი შეექმნით, შედეგი სამართლიანია. „ტორინო“ კი, წაგების მიუხედავად, კარგი გუნდია და ძლიერად იბრძვის. ჩვენი ამოცანა, მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად სხვა გუნდების გაწვევა-გამოწვევა“.

Table with 3 columns: Team, Goals, Assists. Rows include teams like Fiorentina, Lazio, Roma, etc.

Table with 3 columns: Team, Goals, Assists. Rows include teams like Juventus, Inter, Lazio, etc.

ივანე ჩიბრაძის ილიანთა კალათბურთის მატჩი

ილიანი 3:3 ატლანტა

ახლა ხალაჰი: 56 წელი

სკუდეტოს ის ივანე, ვინც ივანე

„ილიანს“ მეტსახელად „დაწვევის მეფეები“ შეარქვეს. ახლაც ასე მოხდა, „შავ-წითლები“ „ატლანტა-სთან“ 0:3-ს აგებდნენ და სამი გაიტანეს. ასევე იყო, თუ გახსოვთ, წინის წინა ტურში, „ლალიოსთან“ — 0:2-ს აგებდნენ და დაეწინ. ვიღაცა იტყვის, ეს კარგიაო. ცუდია, ბატონებო, ცუდი გუნდი, რომელსაც სკუდეტო უნდა, უნდა იგებდეს. ამ ტურში კარლო ანჩელოტის ქვეშევრდომებს დიდი შანსი ჰქონდათ სერია A-ს სათავეში გაცილებით მოხერხებულად მოკალათებულნი, მაგრამ, აბა, ცხრილს ჩახედეთ!

45-ე წამი მიდიოდა, პაოლო მალდინიმ უწყინარ სიტუაციაში შეცდომა რომ დაეშვა და, უნებლიედ, ბურთი საკუთარ კარში შეაგდო.

„ატლანტა“ დაწინაურებამ არ დაეკმაყოფილა — მე-10 წუთზე ღიჯორ ვუერტის დიდი აულო ყოჩაღად რაც შეეხება ფაუსტო როსინის, რომელიც იმ დღეს 25 წლისა მოიყარა, იგი კმაყოფილი დარჩა: პირველად, 29-ე წუთზე მალდინის მორიგე შეცდომის წყალობით ბერგამოელთა მეორე გოლი შეაგდო, მეორედ, 30-ე წუთზე კი ახტა და თავურით ანგარიში 3:0 გახდა.

კიდევ კარგი „ილიანს“ ფილიპო ინტაბე ჰყავს. „ატლანტას“ ყოფილმა ფეხბურთელმა მეურვე ჩამოიშორა და

ბურთი შორეულ კუთხეში შეაგდო. ეს 33-ე წუთზე მოხდა. ინტაბეს პირველ ტაიმში კიდევ ჰქონდა საგოლე მომენტი, არაფერი რომ ვთქვათ მონადირეულ პენტალზე, რიგალომ ძელს რომ გაარტყა.

„ილიანსა“ მეორე გოლი 69-ე წუთზე გაიტანა ეს ზედელოვის ნაცვლად შესულმა იონ დალ ტომასონმა მიახერხა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ ეპიზოდშიც ინტაბე იყო მნიშვნელოვნად გარეული.

78-ე წუთზე ინტაბემ გაათანაბრა. იგი მოხერხებულად იღვა, მაგრამ რუი კოსტას ჩაწოდებული ბურთის თავით ბერგამოელთა კარში შეგდება მაინც მოახერხა.

კახა კალაძე 56-ე წუთზე ტომას ჰელვეციტს შეცვალეს.

მატჩის შემდეგ კარლო ანჩელოტიმ განაცხადა: „პირველ ტაიმში გულის დაწვევის გარდა რა დაგვრჩენია. უსიამოვნებანი ცუდმა სტატუსმა განაპირობა, თუმცა შემდეგ ისევე კარგი რამ, 0:3-ის გამოწვევით ვიხილეთ. შესვენების შემდეგ მთელანს ბრაზით და ყურადღებით დავუბრუნდი. მეორე მეტოქის საფარში დაახლოებით 40-ჯერ ჩავაწოდეთ. მეორე ტაიმში ინტაბე მომენტები შეექმნით, რომ არ გავგეტანა, უბრალოდ არ შეიძლებოდა.“

აპუნა ამლია



კახა კალაძეს და მის „ილიანს“ „ატლანტა“ გვარიანი ბრძოლა გაუმართა

Table with football statistics for various teams and players, including names like ბანათონიკოსი, ოლიმპიკოსი, აიკი, პაოკი, პანიონიოსი, არისი, ირაკლისი, ქსანთი, ოფი, ეგალიფო, პროდემიტი, იანიანი, კალითეა, იონიკოსი, აკრატისი, პანაპაიი.

Table with football statistics for various teams and players, including names like ბარსელონი, მადრიდური, რეალური, ვალიენსი, სევილია, სარაგოსა, სელტიკი, ბურსლი, რაიოდუნი, ლეგანესი, ბეთისი, ბერგამოელი, გრენობლი, სანტიანი, ნოვიკინი, მადრიდური, რეალური, ვალიენსი, სევილია, სარაგოსა, სელტიკი, ბურსლი, რაიოდუნი, ლეგანესი, ბეთისი.

Section titled 'უოტლანდია' (Uttlandia) containing football results and scores from various matches.



გლზგოვლ მელოუნის ბურთი და მიწა გამოაცალეს

Table with football statistics and league table information, including names like ბის და ვანის, სელტიკი, პართსი, კილმარნოკი, დანფერმლიანი, დანდი, პიბერნიანი, პარტეი თისლი, აბერდინი, ლივინგსტონი, მოხერხული, დანდი იუნ.

ბის და ვანის განზრდვის გარეშე დაიბრუნა გასვლაზე „ლივინგსტონი“. „ჩაფრების“ იტალიელი კაპიტანი ლორენცი ამორუზო მიკელ არტეტას ჩაწოდებულზე აიწია ჰაერში და ღონიერი თავური საგოლედ ჰკრა ბურთს. თავით გაიტანა შოთა არველაძემაც — მას ახლოდან ფეხითაც შეეძლო შეგდება, მაგრამ არველაძე მუხლებში მოიკეცა და ფეხს თავი ამჯობინა — ზამთრის შესვენების შემდეგ შოთას პრემიერლიგაში გოლი არ გაეტანა და „ლივინგსტონთან“ ნავსი ვატეხა. არველაძეს კიდევ ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ ჯერ მეტოქე მკველმა გამოიტანა ზედ კარის ხაზიდან მისი დარტყმული, მერე შეკარგო იმარჯვა.

Section titled 'თურქეთი' (Turkey) containing football results and scores from matches between teams like სუპერლიგა, თურკიანი, ბანტა, ბურსლი, რაიოდუნი, ლეგანესი, ბეთისი, ბერგამოელი, გრენობლი, სანტიანი, ნოვიკინი, მადრიდური, რეალური, ვალიენსი, სევილია, სარაგოსა, სელტიკი, ბურსლი, რაიოდუნი, ლეგანესი, ბეთისი.

Table with football statistics and league table information, including names like აბერდინი, სელტიკი, პართსი, კილმარნოკი, დანფერმლიანი, დანდი, პიბერნიანი, პარტეი თისლი, აბერდინი, ლივინგსტონი, მოხერხული, დანდი იუნ.

Section titled 'უგანდარია' (Uganda) containing football results and scores from matches between teams like სუპერლიგა, თურკიანი, ბანტა, ბურსლი, რაიოდუნი, ლეგანესი, ბეთისი, ბერგამოელი, გრენობლი, სანტიანი, ნოვიკინი, მადრიდური, რეალური, ვალიენსი, სევილია, სარაგოსა, სელტიკი, ბურსლი, რაიოდუნი, ლეგანესი, ბეთისი.

Advertisement for 'სარბიელი სამუშაოდ ინვესტ' (Rabbit for investment), featuring text about employment and contact information.


შაბათ საღამოს, როცა ჯონს-უმცროსმა ისტორია შექმნა ლას ვეგასის „ტომას ენდ მეკ სენტერში“, შეიქმნა რა პირველი მოკრივე 106 წლის განმავლობაში, საშუალო წონაშიც რომ ყოფილა ჩემპიონი და მძიმე წონაშიც. 34 წლის როცა ჯონსმა დამთვლელ მსაჯთა ერთხმა გადაწყვეტილებით ქულებით აჯობა ასოციაციის (ვბა) აქამდე ჩემპიონს, ნამდვილ მძიმეწონოსან ჯონ რუისს, რომელზეც 15 კილოგრამით მსუბუქი იყო.

მე ეს გააკეთა!



REUTERS ლას ვეგასიდან

გინდოდათ ისტორია? აჰა, ისილეთ! როცა ჯონსმა ხრიკს მოაგებინა



მომცრო როცა ჯონსი ამხელა ჯონ რუისს იოლად გასწვდა

REUTERS ლას ვეგასიდან

პირველად და უკანასკნელად საშუალო წონის ჩემპიონი მძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონად ყოფილა 1897 წელს და მას ერქვა ბობ ფიცსაიმონსი, კრივის ისტორიის ერთ-ერთი დიდი აჩრდილი. მსაჯთა დათვლით ჯონსმა მოიგო 118-110, 116-112 და 117-111. სააგენტო „ასო-შეიტლერ პრესმა“ დათვალა 116-112 ჯონსისავე სასარგებლოდ. ახლა საანგარიშო აღარ არის ის, რომ ჯონ რუისი გარემოებთა გამო უფრო იყო ჩემპიონი და საერთოდაც ერთი საშუალო მოკრივეა. ეს ჯონსის ბრალი სულაც არ არის. თავის დროზე დონ კინგის მიერ ლენოქს ლუისისთვის სასამართლო წესით ართმეული ასოციაციის ქაპარი, რომელიც გაქნა კინგმა ორ წელიწადს ათამაშა ვებანდერ პოლიციელდსა და რუისს შორის, ახლა კრივის უდიდესი ვარსკვლავის, როცა ჯონსის ხელშია.

იმის მიუხედავად, რომ რუისი მძიმეცაა, მაღალიც და მკლავიც უფრო გრძელი აქვს, ვიდრე ჯონსს, ამ უკანასკნელმა ნამდვილი საკრივო ფიიერვერკი მოაწყო რინგზე და თავისი ზღაპრული ტექნიკით დაჯაბნა მოწინააღმდეგე რომელსაც სახაცვლოდ ნაკლები პქონდა მოქნილობა, კლასი და ნიჭი. „მთელი ჩემი აზრი ამ ჩხუბის გამო ის იყო, რომ ისტორია შექმენა კრივის მიყვარულთათვის — თქვა ჯონსმა — მათ უნდოდათ რაღაც ამგვარის ხილვა და იხილეს“. ჯონსმა გაუძლია რუისის ადრეულ შემოტევას და მერე თავის ტაქტიკას მისდია. გვერდიდან დათვლით რუისმა პირველი რაუნდი მოიგო, თუმცა მე-

მდე ზედიზედ დაიჯაბნა ექვს რაუნდში. ჯამში, ჯონსმა რვა რაუნდში იმარჯვა თორმეტრაუნდა ორთაბრძოლაში. მეოთხე რაუნდში ჯონსის დარტყმამ ცხვირიდან სისხლი გააძინა ჩემპიონს და ეს მომენტი მთელი ორთაბრძოლის ბედის მიმანიშნებელი შეიქმნა: რახან მსუბუქმა იხილა, რომ ბრძოლის სადავეები უპყრია, ხელი აღარ გაუშვა და მხოლოდ ბოლო რაუნდში მისცა თავს ოდნავ დასომშინების უფლება. ასე რომ, როცა ჯონსმა კიდევ ერთი ქაპარი მოიგო, ამჯერად მძიმე წონისა. თუმცა ჯერჯერობით არაფერი უთქვამს მისი დაცვის შესახებ. იგი ახლა ოთხი სხვადასხვა წონის მსოფლიო ჩემპიონია, რუისთან საბრძოლველად კი ორ წონით დივიზიონს გადაახტა.

ალბერტ ხაჩატურიანი

აზროვნობა

ერნესტო უპეისარჩიელი! ახალი ზელანდია ხელსარჩიელი




REUTERS ოკლენდიდან

მშველავარი მე-5 რბოლაზე გადაწყდა. არც მე-4 რბოლის ჩატარება იყო აუცილებელი მსოფლიოს ორ საუკეთესო იახტათა და მათ კაპაიტა შორის მჯობნის გამოსარკვევად. ისედაც ჩანდა, ჩემპიონი და ამერიკის თავის ფინალის „მასაინგელი“ „თიმ ნიუ ხილენდი“ ან უბრალოდ „ახალი ზელანდია“ კიხობდეც ვერ მისწვდებოდა შევიცარიულ „ალინგის“.

რდაჭერა — საერთო საქმისთვის აკეთებენ იმას რაც შეუძლიათ. „ახალი ზელანდიის“ კაპაიტაც აეთიქტა, იმას რაც შეუძლია. ცდილობდნენ ბიჭები, იხიან კრივი უკანასკნელის, მხილილ დარტყმის შესანარჩუნებლად იბრძოდნენ, მაგრამ არც აქ გაუმართლათ. მესუიუ რბოლაში ერთხელაც დაამტკიცეს ის რაც აქამდეც ნათელი იყო, შევიცარიული „ალინგის“, თუმც ზედ შევიცარიული მეოთხე კაცი არ მოიძებნება, მეტოქეზე უკეთ გამართული ნავია და გეიპაიც უფრო ხელმარჯვე და მკვიდრე მყავს. აღარც გულისა იმის გამოთრება, რომ „ალინგის“ შკაპარი რასკლ კოტსი „ახალ ზელანდიას“ კაპიტნობდა და იქიდან 2000 წელს წამოსულმა თავისი ად-

გილი ყმაწვილ ღინ ბარკერს გადაულოცა სამი წლის შემდეგ ბარკერმა პირქმინდოდ წაგო ბრძოლა ბრძენ მასწავლებელთან. ჩემპიონობისკენ ქროლვაში „ალინგის“ მრავალი რეკორდი დაამყარა, მათგან ორია აღსანიშნავი. „ალინგის“ პირველი პრეტენდენტი ნავია, რომელმაც პირველივე ცდა წარმატებით დაასრულა და რაც ყველაზე მთავარია პირველი ვეროპული დახტა, რომელმაც ეს სრულიად უნიკალური და უძველესი სპორტული თასი ვეროპაში წაიღო.



REUTERS ოკლენდიდან

„ალინგის“ გამარჯვებული და ბენიერი შემქმნელი ერნესტო ბერტარელი



REUTERS ოკლენდიდან

სულ ტყუილად ისტრიატებს ახალზელანდიელმა გოგონებმა

სარბიელი
საორტული გაზეთი
გამოცემის 1990 წლის
28 დეკემბერიდან
გამოდის საგზაბათს,
ოთხგზაბათს, ხუთგზაბათს,
პარასკევის და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჳოცხვერიანი
დირექტორი გიორგი ოძროშაძელი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორიანი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე
მამუკა კვანტალიანი, პატა კვანტალიანი, კახა მდომარეიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: გიორგი ღარიბაია, ვიორჯი კამაკაძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ჳირაპხილი
ინფორმაციის რედაქტორი: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი,
ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში: ვახო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღუნჯაშვილი, ბადრი კვიციანი
სტილისტები: ნათელა გიორგიანი, ლალი გოზალიაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ვლენჯეგულაშვილი, თამარ გოგუბაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევიძე, ფატიმე დევიძე, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტარიძე, მარიამ ტაბაძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საზოგადოებრივი მისამართი:
თბილისი — 79, საზოგადოებრივი
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა: sarbiel@gol.ge
ელექტრონული პირსია: http://www.sarbiel.com.ge